



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი  
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა*

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა  
ფილოლოგია

*ხელნაწერის უფლებით*

ნონა ინჯგია

ეროვნული სოციოკულტურული სივრცის  
ინტერპრეტაციის თავისებურებანი  
მხატვრულ თარგმანში (ლიუდმილა  
ულიცკაიას პროზის მიხედვით)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

0232.1.3. ფილოლოგია

თბილისი

2020

1

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**ტატიანა ჭეიშვილი** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**რეცენზენტები:**

**ირინა კაპანაძე** - ფილოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორი

**რუსუდან ჭანტურიშვილი** - ფილოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორი

**დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 22 მაისს, 16:00 საათზე,**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. საგანგებო მდგომარეობის პირობებში დისერტაციის დაცვა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად. საჯარო დაცვის პროცესში მონაწილეობა შესაძლებელია შემდეგი ბმულის საშუალებით: <https://zoom.us/j/8978585107>

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის 29 აპრილს.

სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი

**ნინო მამარდაშვილი**

# სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

## თემის აქტუალურობა

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად სრულყოფილად ყალიბდება სხვადასხვა ქვეყანას, ხალხსა და კულტურას შორის ურთიერთობები. სწორედ ამ ურთიერთობების კვლევისას წინ წამოიწევეს ისეთი პრობლემები, როგორცაა: ეთნოსი, მენტალობა, განსხვავებული ეროვნული თუ სოციო-კულტურული სივრცის სახესხვაობა. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის გაანალიზებისას თარგმანი ერთ-ერთი მყარი საფუძველია. ჩვენ შევეცადეთ ქართული საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი თანამედროვე რუსი მწერლის, ლიუდმილა ულიცკაიას მცირე პროზაზე დაყრდნობით გვესაუბრა თუ რა როლს თამაშობს ეროვნული სოციოკულტურული სივრცის ინტერპრეტაცია მხატვრული თარგმანის შესრულებაში. რამაც განაპირობა ეროვნული სოციოკულტურული სივრცის სტრუქტურის, აგებულებისა და შინაარსის გაანალიზება. ეს უკანასკნელიც ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომაც ამ ცნების გააზრება, კერძოდ, მთარგმნელობითი კუთხით, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისთვის საჭირო ახალი მიდგომებისა და პრინციპების ჩამოყალიბებაში დაგვეხმარა.

ჩვენ წინაშე მრავალი შესასწავლი საკითხი წამოიჭრა. ერთი მხრივ, ქართული საზოგადოებისთვის გაგვეცნო მწერალი. თავდაპირველად მის ვინაობაზე ალაპარაკდა ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი „ახალი საუნჯე“, მისი მოთხრობისა და რომანიდან ნაწყვეტის თარგმანი მოგვაწოდა თამარ კონტრიკაძემ („ქალადის გამარჯვება“) და ნათია ორმოცაძემ (ფრაგმენტი გახმაურებული რომანიდან „დანიელ შტაინი, თარჯიმანი“). სხვა ნოველებისა თუ რომანების თარგმანი არ მოგვეპოვე, ამის გამო ჩვენ არა მხოლოდ ვთარგმნეთ, არამედ გამოვიკვლიეთ მათი თარგმანის თავისებურებანი. სამუშაო მასალად შერჩეულია რამდენიმე ნოველის (კერძოდ, „ღარიბი ნათესავი“, „გულია“ და „ბრონკა“) ჩვენი თარგმანი წიგნიდან „Лялин дом“ და ფრაგმენტი ნოველიდან „Сонечка“ („სონეჩკა“), ასევე ზემოთ დასახელებული თარგმანები.

დავადგინეთ მწერლის შემოქმედების სტილი, რომელიც მიეკუთვნება თანამედროვე ლიტერატურულ მიმდინარეობას - პოსტმოდერნიზმს. განვსაზღვრეთ პოსტმოდერნისტული ტექსტების თარგმანის სპეციფიკა. მეორე მხრივ, კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, მთავარ მიზანს წარმოადგენდა სხვა კულტურის მიერ მხატვრული ტექსტის გაგების პროცესი, რომელიც სწორედ თარგმანის საშუალებით სრულდება. აუცილებელი იყო ისიც განგვესაზღვრა, შეიძლება თუ არა ერთმა კულტურამ გაუგოს მეორეს, მხატვრული თარგმანის გათვალისწინებით, და რომელი საშუალებებით მიიღწეოდა ტექსტში წარმოდგენილი ეროვნული სოციოკულტურული ელემენტების ადეკვატური ინტერპრეტაცია, ამ უკანასკნელთა თარგმნულ ენაზე გადმოცემისას ლექსიკური მნიშვნელობისა და საზრისის შენარჩუნება. მოცემული ფაქტორები თემის კვლევის აქტუალობას განაპირობებს.

## **კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

კვლევის მიზანია ლ. ულიცკაიას პროზის თარგმნისას (ნოველებისა: „ღარიბი ნათესავი“, „გულია“, „ბრონკა“) ეროვნული სოციოკულტურული სივრცის ინტერპრეტაციის თავისებურებების გადმოტანის პრობლემის დადგენა ქართულ თარგმანში. მისი მხატვრული და ლინგვისტური თავისებურებების ანალიზი. ეს მიზანი განაპირობებს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

- მხატვრული თარგმანის თავისებურებებისა და გადმოცემის მექანიზმების შეფასება;
- თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ახალი მიდგომების, მეთოდებისა და სტრატეგიების ჩამოყალიბება, ეროვნული სოციოკულტურული სივრცის კომპონენტების გათვალისწინებით;
- როგორც კულტურული, ასევე მთარგმნელობითი კოდის დადგენა;
- ეთნოკულტურული სივრცის შესწავლა;

- რუსული კონცეპტების სიღრმისეული გააზრება და გადმოცემის პრობლემა, ექსტრალინგვისტური სიტუაციური ფაქტორების გააზრებით;
- საბოლოოდ კი, ქართულ რეალობაში ლ. ულიცკაიას შემოქმედების ადგილის დადგენა და თვით თარგმანის პროცესის რეალიზება.

## **ნაშრომის ძირითადი სიახლე**

ნაშრომი არის პირველი ცდა XX საუკუნის რუსი მწერლის შემოქმედების შესწავლისა, ტექსტის ინტერპრეტაციის მცდელობა და ამ თარგმანზე დაყრდნობით მისი ლიტერატურული განხილვა, მხატვრული თარგმანის გადმოცემის კულტურული და ლინგვოკულტურული ასპექტების შესწავლა, ასევე მთარგმნელობითი სტრატეგიების ჩამოყალიბება. თხზულებათა თარგმანის საფუძველზე ვიკვლევთ ქართულ ენაზე გადმოცემის თარგმანის ლინგვისტიკურ მექანიზმებს. გარდა ამისა, თარგმანის გადმოცემისას ქართულსა და რუსულ ენაში გამოვავლინეთ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, რომელიც ეროვნული სოციოკულტურული სივრცის სწორი გაგების ერთ-ერთი ძირითადი ხერხთაგანია. იგი გარკვეული სახის დახმარებას გაუწევს სტუდენტებსა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს.

## **თეორიული და პრაქტიკული ღირებულება**

ნაშრომს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მასში წარმოდგენილი შედეგები შეიძლება სტუდენტებსა და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს გამოადგეთ:

1. მთარგმნელობითი მეთოდოლოგიური ბაზის გააზრებაში;

2. ეროვნული სოციოკულტურული სივრცის გაგების შემცენებაში;
3. მხატვრული თარგმანის შესრულებაში, ეროვნული სოციოკულტურული სივრცისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ზუსტი ინტერპრეტაციის საშუალებით;
4. პოსტმოდერნისტული ტექსტების თარგმანის სპეციფიკის გათავისებებაში;
5. ლ. ულიცკაიას შემოქმედების გაანალიზებაში.

## **ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა**

სადისერტაციო ნაშრომი „ეროვნული სოციოკულტურული სივრცის ინტერპრეტაციის თავისებურებანი მხატვრულ თარგმანში (ლიუდმილა ულიცკაიას პროზის მიხედვით)“ შედგება: შესავლის, ოთხი თავისაგან, დასკვნისა და დანართებისგან, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს 236 გვერდს. საკვლევი მასალა შედგება 183 გვერდისგან.

## **ნაშრომის ძირითადი შინაარსი შესავალი**

საკვალიფიკაციო ნაშრომში ეტაპობრივადაა განხილული: ლიუდმილა ულიცკაიას ცხოვრება და შემოქმედება; მისი სამწერლობო სტილი; მცირე პროზა გაანალიზებულია ფილოლოგიური კუთხით; გამოკვლეულია ეროვნული სოციოკულტურული სივრცე, ასევე მხატვრული და ლინგვისტური თავისებურებანი; მხატვრული ტექსტების მაგალითზე შესრულებულია ნაშრომის პრაქტიკული ნაწილი; სწორედ ამ თარგმანებზე დაყრდნობით შესწავლილია თარგმანის კვლევის თეორიული პრინციპები და მეთოდები, ეროვნული სოციოკულტურული სივრცისა და ტროპის აზროვნების საშუალებების, პოსტმოდერნისტულ ტექსტებში არსებული ინტერტექსტების გადმოცემისა და ტრანსფორმაციების მეშვეობით;

ჩამოყალიბებულია მთარგმნელისთვის საჭირო ინტერპრეტაციის მექანიზმები.

კვლევაში გაანალიზებულია ისეთი საკითხები, რომლებიც თანამედროვე მთარგმნელობით მეცნიერებაში სიახლეს წარმოადგენს. პირველ რიგში, ეროვნული სოციოკულტურული სივრცის ინტერპრეტაციის პრობლემა მხატვრულ თარგმანში თეორიული სახით, რაც ფაქტობრივად, არ მოგვეპოვება, მეორე რიგში, თვითონ ავტორს ქართველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს, ამიტომაც მწერლის გაცნობა, ნაწარმოებთა შესწავლა-გაანალიზება, ამის შემდეგ კი თარგმანის შესრულების ხერხებისა და სტრატეგიების ჩამოყალიბება, მათი ერთ მეთოდოლოგიურ ბაზაში მოქცევა, რაც ორიგინალის ვერტიკალური კონტექსტის (ე.ი. ადეკვატური თარგმნილი ტექსტის) შექმნაში დაგვეხმარა.

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და დანართებისგან. ძირითად სამეცნიერო ნაწილს მესამე და მეოთხე თავი წარმოადგენს. დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია.

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პოსტმოდერნისტული ტექსტების სპეციფიკის ახსნას, რაც თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ფართოდაა განხილული ეროვნული სოციოკულტურული სივრცე. გამოკვლეულია რუსული ეთნოსი, მენტალობა, ენობრივი მახასიათებლები, რომელთა შორისაც მოექცა კონცეპტები. ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანების შეფასება-გაანალიზებისას მივაგენით მთარგმნელისათვის გასათვალისწინებელ სტრატეგიებს, რომელთა დახმარებითაც სრულდება მხატვრული თარგმანი. აღსანიშნავია, რომ თარგმანცოდნეობაში მხატვრული ტექსტის გადმოცემის თავისებურებანი შესწავლისა და დაკვირვების საგანია მრავალი მეცნიერისთვის. ამიტომაც ნაშრომში მასშტაბური ადგილი უკავია მისი თეორიული გაგების წარმოჩენას. ჩვენ შევეცადეთ თანამედროვე მიდგომებით კიდევ უფრო გაგვეღრმავებინა საშუალებათა არსენალი. ლ. ულიცკაიას შემოქმედება უფროსი თაობათა ინტერესს, ეჭვგარეშეა, გამოიწვევს, თუმცა უმცროსი თაობის ინტერესის დაკმაყოფილება ერთ დიდ მიზნად გვექცა. ამ შემთხვევაში უდიდესი როლი ითამაშა სწორედ - ეროვნულმა

სოციოკულტურულმა სივრცემ, რომლის შემადგენელი ელემენტების განმარტებითაც, ვფიქრობთ, რომ სრულად უზრუნველყოფთ მკითხველის ასაკობრივ ბარიერს.

## I თავი ლიუდმილა ულიცკაიას ცხოვრება და შემოქმედება

პირველ ქვეთავში სათაურით „ლიუდმილა ულიცკაია, როგორც მწერალი და პროზაიკოსი“ განხილულია ავტორის ბიოგრაფია. საინტერესო დეტალს ქმნის მისი სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლა, რის გადმოცემასაც შევეცადეთ. შესწავლილი და წარმოჩენილია თუ რა ადგილი უკავია თანამედროვე რუსული ლიტერატურის ისტორიაში მის შემოქმედებას. დადებითი და უარყოფითი შეფასებების საფუძველზე, გამოტანილია საერთო დასკვნა: ზოგიერთი მკვლევარი ლ. ულიცკაიას „ქალური პროზის“ წარმომადგენელს უწოდებს, ზოგიც „ბულვარულ ლიტერატურადაც“ მიიჩნევს მის შემოქმედებას. თუმცა მწერალმა მკითხველის გული მოიგო სწორედ ადამიანის პიროვნების დაინტერესებით, მის მიმართ თანაგრძნობით, რაც თანამედროვე ლიტერატურაში ნაკლებად გვხვდება. ამის გამო უნდა ითქვას, ლ. ულიცკაიას შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიანს, მის ცხოვრებას, გრძნობებს, რაც წარმოაჩენს კიდევაც მისი მწერლობის ლიტერატურულ ღირებულებას.

მეორე ქვეთავში სათაურით „ლიუდმილა ულიცკაიას შემოქმედების ხასიათი“ ნაცადია მისი სამწერლობო სტილის მიგნების ვერსია, რომელიც სხვადასხვა მეცნიერის დასკვნებისა და პირადი ანალიზის საფუძველზეა გამოტანილი - ლ. ულიცკაიას შემოქმედება პოსტმოდერნისტული სამყაროს ნაწილია. განხილულია რუსული პოსტმოდერნიზმის ეროვნული სპეციფიკა და თვითმყოფადობა. საუბარია რუსული პოსტმოდერნისტული ტექსტების თავისებურებაზე. ფილოლოგიურად გაანალიზებულია ნოველები: „სონეჟკა“, „ღარიბი ნათესავი“, „გულია“, „ბრონკა“ და



სხვა. თეორიული მასალა კი ლ. ულიცკაიას პროზის პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობად აღიარების შესაძლებლობაში გვეხმარება. რისი მთავარი ასპექტიცაა კლასიკურ ლიტერატურასთან მიბრუნება, „პატარა ადამიანის“ თემის განზოგადებისა და ახლებურად დანახვის მცდელობა.

## II თავი

### XX საუკუნის ქართული და რუსული მწერლობა - მსოფლიო ლიტერატურული პროცესების ფონზე (მათი გადაკვეთის წერტილები)

ნაშრომის პირველ ქვეთავში სათაურით „მეოცე საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის ღირებულება“ განხილულია მხატვრული ლიტერატურის საზრისი, საუბარია იმაზე, თუ როგორ გაუკვალა კლასიკურმა მწერლობამ შემდგომ უკვე მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე შემოქმედებმა შემდგომ თაობებს გზა. გაანალიზებულია მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი პერიოდები, ლიტერატურული მიმდინარეობები თუ დაჯგუფებები. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა შემოქმედების ხასიათი და თავისებურებანი.

მეორე ქვეთავი სათაურით „მეოცე საუკუნის რუსული საბჭოთა ლიტერატურა“ მოგვითხრობს რუსული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაზე, რაც მცირე ექსკურსს წამოადგენს. პერიოდებად დაყოფილი და ჩამოთვლილია იმ დროს არსებული მიმდინარეობათა და დაჯგუფებათა ჩასახვისა და განვითარების სათავეები, მათი შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები. საბოლოოდ გაკეთებულია დასკვნა, რომ რუსული საბჭოთა ლიტერატურა ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობისაა, მან მსოფლიო ლიტერატურას მისცა გეზი, გასახსენებლად საკმარისია გორკი და მაიაკოვსკი, რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს

მსოფლიო ხალხების მხატვრულ ლიტერატურაზე, მის განვითარებაზე.

მესამე ქვეთავი სათაურით „მეოცე საუკუნის ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობები“ მთავარი ხიდია ქართულ რეალობაში ჩვენი მწერლის შემოქმედების ადგილის გააზრებისას. ქართული და რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების შორის ურთიერთობის, კავშირის, ურთიერთგამდიდრების განსაკუთრებული ძალით დამკვიდრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შედგა. დაბოლოს, აღნიშნულია, რომ მეოცე საუკუნის ბოლოსკენ მიმწყდარი ურთიერთობა ოცდამეერთე საუკუნეში კვლავ იბრუნებს თავის ემხს, უკვე ლიტერატურაში. ამ მხრივ, სწორედ ლიუდმილა ულიცკაიას შემოქმედება გვცხმარება.

### III თავი

## ლიუდმილა ულიცკაიას პროზის თარგმანის პრობლემები და თავისებურებები

წარმოდგენილი ნაწილი შედგება სამი ქვეთავისგან.

ქვეთავებში განხილულია პოსტმოდერნიზმი, როგორც ცნება, წარმოჩენილია რუსული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ძირითადი მახასიათებლები, რის საფუძველზეც გაანალიზებულია ამავე ჟანრის ტექსტების თარგმანის სპეციფიკა, ჩამოთვლილია მთარგმნელობითი სტრატეგიები და მეთოდები, რომელთა დახმარებითად მხატვრული ტექსტის ადეკვატური თარგმანის ხარისხი შენარჩუნდა.

პოსტმოდერნიზმი თანამედროვე ეპოქის გამოწვევაა, ამიტომაც მისი ადგილი ქართული ლიტერატურული ისტორიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ლიუდმილა ულიცკაია მსოფლიოში აღიარებული მწერალია, ყოველივე ეს გვაძლევს იმის ქმის საშუალებას, რომ ქართულ მწერლობაში მისი შემოქმედების როლი, როგორც რუსული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენლის, საჭიროა.

პოსტმოდერნისტული ტექსტების არსება სულ სხვაა. ის ამოცანად არ ისახავს გამოიკვლიოს რეალობა, ამასთანავე, სიცოცხლისა და ლიტერატურის ურთიერთქმედება უარყოფილია. ამ შემთხვევაში ლიტერატურის საგანი არა რეალური სოციალური ან ონტოლოგიური რეალობა, არამედ წინამორბედი კულტურაა: სხვასახვა ეპოქის ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტები, ტრადიციული კულტურული იერარქიების გარე განხილვა, საკრალური და საერისკაცო, მაღალი სტილი და ნახევრად მწიგნობრული, სასაუბრო მეტყველება, ასევე ჟარგონიც.

იმისათვის, რომ რუსული პოსტმოდერნისტული ტექსტები გვეთარგმნა შევიმუშავეთ სტრატეგია, რის საფუძველზეც შევქმენით მთარგმნელისთვის საჭირო მეთოდოლოგია. მოვინიშნეთ პოსტმოდერნისტული ტექსტების გარკვეული მახასიათებლები, რომელთა ზუსტი გაგებითა და გადმოცემით სრულდება მხატვრული თარგმანი. ამაში გვეხმარება ინტერტექსტუალობა, ირონია.

გარდა ამისა, ადგილი დავუთმეთ მხატვრული პროზის თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას, რომელიც თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობის საძიებელი საშუალებაა. განვსაზღვრეთ მხატვრული ნაწარმოების თარგმანის ენობრივი სპეციფიკა, შევხებით სახეებით მეტყველებას. აღვნიშნეთ ისიც, რომ მხატვრული ლიტერატურის შინაარსის გაგება უფრო მეტ სირთულესთანაა დაკავშირებული, ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურა ან საქმიანი საბუთი. ის არა მხოლოდ მასალურ-ლოგიკურ გამონათქვამის ისეურ-შემეცნებით მხარეს, არამედ ემოციური, გონებრივი ზემოქმედების საშუალებასაც იძლევა.

## IV თავი

## ეროვნული სოციოკულტურული სივრცის ინტერპრეტაცია მხატვრულ თარგმანში

კვლევაში განმარტებულია ეროვნული სოციოკულტურული სივრცე. განხილულია კულტუროლოგიაში მისი ადგილი. გაანალიზებულია უცხოენოვანი კულტურების ტექსტების აღქმის პროცესი, რომელიც სწორედ გაგების აქტში სრულდება, ამას კი კონკრეტული ინდივიდი აკეთებს. თანამედროვე თარგმანის თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრობლემას, კერძოდ, ტექსტის ლინგვოკულტურული ადაპტაციას თარგმნისას, რომელიც ორ შემთხვევაში გამოიყენება:

1. კონკრეტული კონკრეტული მთარგმნელობითი ხერხის დროს, რომელიც „უცნობის ნაცნობით და უჩვეულოს ჩვეულით შეცვლას“ გულისხმობს. ამ შემთხვევაში ადაპტაცია ცალკეული სიტყვების თარგმანისას გამოიყენება.
2. ტერმინი „ადაპტაცია“ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება კომუნიკაციური ეფექტის თანაფარდოვნების მიღწევის შესაძლებლობით, ორიგინალსა და თარგმნილ ტექსტში. რაც საშუალებას აძლევს მკითხველს სხვა კულტურას ჩასწვდეს.

თარგმნისას კი ადაპტაციის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი უცხოური ტექსტის სხვა სოციოკულტურის კონტექსტში ინტეგრირებაა. ამ შემთხვევაში სირთულეს განაპირობებს ის, რომ იგი დაკავშირებულია კულტურული ფენომენის გადმოცემასთან, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ძალიან რთულად ითარგმნება. ამ მხრივ ჩამოვყალიბეთ მთარგმნელისთვის გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

1. აღქმული ტექსტიდან შინაარსის ამოხშირვა და ისეთი შექმნა, რომელსაც საჭირო შინაარსი ექნება;
2. ტექსტის სხვადასხვანაირი პერიფრაზი;
3. წინადადებების სხვადასხვა სემანტიკური თვისების გამოვლენა, ერთმანეთთან დაკავშირებული ტექსტები, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ტექსტებისგან და

სემანტიკურად სწორი წინადადებები, სემანტიკურად არასწორი წინადადებებისგან გარჩევა;

4. იდომატური გამოთქმების გადმოტანისას სხვა ენაზე, ენის სინტაქსური და ლექსიკური შეთანხმებების გათვალისწინება;
5. უცხოური ენების თავისებურებათა ცოდნა;
6. წარმოდგენილ კულტურულ სტერეოტიპებში ეთნიკური მუდმივების გამოვლენა;
7. კომუნიკაციის ეთნოსამეტყველო ასპექტების ცოდნა.

მთარგმნელს ორი ამოცანის შესრულება უწევს: ერთი მხრივ, მან ავტორის კულტურული ნიშნული უნდა შეინარჩუნოს, მიძღვას უცხოკულტურული ნიშნულების აღმოჩენასა და აღქმაში დაეხმაროს. ამ შემთხვევაში მთარგმნელის როლი განისაზღვრება „ორკულტუროვნების“ სტატუსით. ტექსტის აღქმით, ის არა მარტო მისი შინაარსის გამომგზავნის კომუნიკაციურ ინტენციას გადმოსცემს, არამედ ამ ყოველივეს სხვა კულტურის მქონე ადამიანის გადმოსახედიდან უყურებს.

ხალხს შორის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთკავშირები თავისი ბუნებით დიალოგურია, მაგრამ კულტურათა დიალოგი კულტურულ-ენობრივი ერთობის უფრო ფართომრიან მონაწილეობას გულისხმობს და ამიტომაც თარგმანის გარეშე არ არსებობს; მსოფლიო ლიტერატურის შედეგების თარგმანი უფრო მეტი ადამიანისთვისაა ცნობილი, ვიდრე ორიგინალი - სამშობლოში.

რუსული ეროვნული ხასიათის, მენტალობის გათავისებამ კიდევ უფრო მიგვაახლოვა ჩვენ წინაშე წამოჭრილი პრობლემის გაანალიზებას.

შევეცადეთ გვესაუბრა, რუსულ ეროვნულ ხასიათზე, რომელიც სოციოკულტურული სივრცისთვის ამოსავალი იყო.

ამ საკითხის კიდევ უკეთ შესაცნობად შევარჩიეთ კონცეპტი «Душа» და «Честь». მისი ქართულ ენაზე გადმოცემის თავისებურებაზეც ვისაუბრეთ.

ამ თავის უმთავრესი ნაწილი იყო ლიუდმილა ულიცკაიას შემოქმედების თარგმანებზე დაყრდნობით გაგვეანალიზებინა, თუ როგორ ხერხდება ეროვნული სოციოკულტურული სივრცის ინტერპრეტაცია. რა მთარგმნელობითი ლინგვისტური და

ექსტრალინგვისტური საშუალებები გვჭირდება იმისათვის, რომ ადეკვატური თარგმანი შესრულდეს.

უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელობით მეთოდად გამოვიყენეთ ტროპის აზროვნების ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანის მეთოდი. ავხსენით მისი გადმოცემის შესაძლებლობები. ხოლო მეორე მეთოდად გამოვიყენეთ ეროვნული სოციოკულტურული ელემენტების თარგმანი. მათი განმარტება-განხილვა, მათი ისტორიის შესწავლა ამოსავალი პრინციპი აღმოჩნდა ხარისხიანი თარგმანის შესრულებისა.

საქმე ისაა, რომ ეროვნული სოციოკულტურული ღირებულება შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე სულიერი. სულიერი, როგორც წესი, წარმოდგენილია კონცეპტებით. ამ შეთხვევაში წარმოდგენილია კონკრეტული ისტორიული ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება, რომელსაც აქვს სოციალური გამოცდილების უნიკალური ელემენტების ნარევი; კოლექტიური ადამიანების ყოფიერების სოციალური ფორმები, რომლებიც კულტურული ფასეულობების სისტემაშია თავმოყრილი - ნორმები, ღირებულებები, ზნე-ჩვეულება და ა.შ. მატერიალურს რაც შეეხება, ეს არის სხვადასხვა რეალია, ტოპონიმი, კატაკონიმი და სხვა. გარდა ამისა, ქართული საზოგადოებისთვის ნებისმიერი სხვა ეროვნების ადამიანის უკეთ შესაცნობად, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, აუცილებელია იმ ქვეყნის შიგნით არსებული ადგილმდებარეობების, სოფლების, დაბების, ქუჩების წარმოჩენა, რათა მკითხველისთვის კულტურული სივრცის გადმოცემის ასოციაციის აღქმის ასოციასთან თანხვედრა მოხდეს.

მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებიდან გამოვყავით მეტაფორა და ირონია. ამის მიხედვით გამოვყავით სემანტიკური გარდასახვების ტიპები:

1. ყველაზე ხშირად მივმართავდით სრულ თარგმანს, როდესაც სრულად ნარჩუნდება ავტორისეული მეტაფორის სემანტიკა და სტრუქტურა;
2. მისი გარდაქმნა ლექსიკური გაფორმების მეშვეობით, ე.ი. სიტყვის გამოყენება ინტენსიონალის სხვა სემანტიკური შედგენილობის, მაგრამ იმპლიკაციონალით.

3. მისი გარდაქმნა მორფოლოგიური გაფორმებით მეშვეობით, ე.ი. სიტყვების გამოყენება, რომლებსაც მსგავსი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს;
4. მისი გარდაქმნა სინტაქსური გაფორმების მეშვეობით, ე.ი. წინადადების სინტაქსური ტიპის შეცვლა, ღარგმნისას ამ ხერხს ყველაზე ხშირად მიმართავენ;
5. ლექსიკური დამატება/კლება, ერთი და იგივე სახე ორ ენაში შეიძლება გამოიხატოს მეტი ან ნაკლები ექსპლიკაციით, რაც სიტყვების დამატებას ან ამოკლებას საჭიროებს.

ხოლო რაც შეეხება ირონიას, მისი გადმოცემისას ვხელმძღვანელობდით რამდენიმე გადმოცემის ხერხით:

1. სრული თარგმანი, უმნიშვნელო ლექსიკური ან გრამატიკული გამოიყენება მაშინ, როდესაც ამის საშუალებას იძლევა ორიგინალში წარმოდგენილი ირონიული გამონათქვამის სიტყვიერი და გრამატიკული შედგენილობა, რასაც ეროვნული სოციოკულტურული გარემოც უნდა უწყობდეს ხელს;
2. ირონიული გამომსახველობის მეტად გაზრდა შესაძლებელია მაშინ, როდესაც ირონიული გამონათქვამის საზრისი არაა აშკარა სხვა უცხოური კულტურული გარემოსთვის. ამ შემთხვევაში მთარგმნელი იყენებს თარგმნული ენისთვის დამახასიათებელ ატრიბუტულ კონსტრუქციებს, კავშირებს და სხვა, რათა ტექსტი გასაგები იყოს;
3. ანტონიმური თარგმანი, გამოიყენება მაშინ, როდესაც პწკარედი თარგმანი ართულებს და ამძიმებს მთარგმნელობით სტრუქტურას, რაც გამოწვეულია ორ ენას შორის გრამატიკული და ლექსიკური სხვადასხვაობით, ამიტომაც თარგმნისას ირონიული გამონათქვამი გაუგებარი რჩება;
4. აზრობრივი კომპონენტების დამატება შესაძლებელია მაშინ, როდესაც საჭიროა შენარჩუნდეს ლექსიკურ-გრამატიკული ფორმები, იმ შემთხვევაში, როცა

თარგმნულ ენაზე ანალოგიური ფორმების ინფორმაციული ნაკლებობა არსებობს;

5. კულტურულ-სიტუაციურობა გამოიყენება მაშინ, როდესაც ირონიის გადმოცემის ხერხი შეუძლებელია, რადგანაც თარგმნულ კულტურაში ვერ აღიქმება, თვითონ ირონია კი უნდა გადმოიცეს, ვინაიდან ის ავტორისეული გამომსახველობით ნაწილია.

ამ საკითხის უკეთ წარმოსაჩენად კი ნოველებზე დაყრდნობით გავარჩიეთ ყველა ეს ზემოთ წარმოდგენილი სტრატეგია. საბოლოოდ, ჩამოვყალიბეთ მხატვრული თარგმანის შესრულების ორი ძირითადი გზა, რომლიდანაც პირველი ფილოლოგიურ გარჩევას გულისხმობს, ხოლო მეორე კი თარგმანმცოდნეობის ემყარება. პირველ რიგში, ორიგინალი ტექსტის ფილოლოგიური შესწავლისთვის მთარგმნელმა უნდა:

1. გაიცნოს ავტორი და მისი შემოქმედება;
2. ყურადღებით წაიკითხოს ორიგინალი ტექსტი;
3. შეითვისოს და შეიგრძნოს მწერლის წერის სტილი, მისი ხასიათი, მიდგომა, ამისთვის ავტორისეული კომენტარები დაეხმარება;
4. გაიაზროს თხზულებაში წარმოდგენილი ეპოქა;
5. დაიჭიროს თითოეული პერსონაჟის ხასიათი;
6. გაანალიზოს ნაწარმოების სიუჟეტი.

მეორე რიგში კი, მთარგმნელმა თარგმანმცოდნეობაში არსებული ყველა შესაძლო ხერხი უნდა შეისწავლოს, გაითავისოს და დაეყრდნოს კიდევ (ზემოთ ჩვენ ეს ფართოდ განვიხილეთ). გარდა ამისა, აუცილებელია თვითშემოქმედება, არა ე.წ. „ინტერპოლატორობა“, „ცრუმთარგმნელობა“, არც ორიგინალი ტექსტის ძალის-ძალითა და უადგილოდ შემოკლება-ჩამატება, არამედ მთავარი ღირებულებაა მდიდარი ლექსიკური მარაგი, ორი ენის ზედმიწევნით ცოდნა, ამასთანავე, ინტუიციაც. ეს ყოველივე, თუნდაც გამოუცდელ მთარგმნელს, გამართული და ადეკვატური ტექსტის გადმოცემაში დაეხმარება. მაშასადამე, მთარგმნელობითი პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა:

1. პწკარედი თარგმანი, შემღებისამებრ. სიტყვასიტყვითი თარგმანი დაგვეხმარება სრული ტექსტის გადმოცემაში, ყოველგვარი კლების გარეშე;



2. სინონიმური თარგმანი. როდესაც საჭირო შემთხვევაში სიტყვის მრავალჯერ გამოყენების მაგივრად, მის სხვადასხვა მნიშვნელობას ვიყენებთ (რუსული ტექსტის თარგმნისას გასათვალისწინებელი ფაქტორია. ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტორი იმეორებს ერთსა და იმავე სახელს, ნაცვალსახელს, კავშირს, ზმნას ან სხვა... მსგავსი გამეორებები რუსული ენისთვის დამახასიათებელია, ბრწყინვალედ ჟღერს და მკითხველიც იღებს ესთეტიკურ სიამოვნებას, თუმცა ქართულ სალიტერატურო ენაში ის ითვლება სტილისტურ ხარვეზად, ტექსტი კი სრულად კარგავს ესთეტიკას. ამიტომ მთარგმნელს ევალება ენაში არსებული სინონიმური ერთეულებით გამართოს თარგმანი);
3. ანტონიმური თარგმანი. ორიგინალი ტექსტის თარგმნისას თარგმნულ ენაზე მოცემული აზრის საპირისპიროს გადმოცემა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კონტრასტული წინადადებები მეტად ადეკვატურად აღიქმება;
4. მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ზუსტი გადმოცემა. იგულისხმება მხატვრული ხერხების (ეპითეტი, მეტაფორა, შედარება...) ზუსტი თარგმნა. დასახელებული მეთოდი ტექსტთაშორის კავშირს ამყარებს. უზრუნველყოფს ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ურთიერთქმედებას;
5. ეროვნული სოციოკულტურული სივრცის შესწავლა. ეროვნული ხასიათის, ეთნოსის, სოციოკულტურული სივრცის, სათარგმნ ენაზე არსებული კონცეპტების საფუძვლიანი შესწავლა წარმოადგენს მთარგმნელის იარაღს შექმნას ადეკვატურად ხარისხიანი თარგმანი.

მამასადამე, ვეცადეთ სისტემურად ჩამოგვეყალიბებინა ყველა შესაძლო მიდგომა, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ ლიუდმილა ულიცკაიას ნოველების თარგმნისას. ეროვნული სოციოკულტურული სივრცის გაგება ცნების თვალსაზრისით ზუსტად დაგვეზმარა დაგვეძებნა ტექსტში ასეთი კონტექსტით გაჯერებული წინადადებები, მათი ახსნა კი მთლიანი ნაწარმოების გაანალიზების წინაპირობა იყო, მხატვრული ხერხების ზუსტი, სიტყვასიტყვითი გადმოცემამ კი ტექსტის შენარჩუნებში ხელი

შეგვიწყო. დასახელებული მეთოდოლოგია და სტრატეგია ნებისმიერ სპეციალისტსა და მთარგმნელს დაეხმარება ტექსტის გამართულ თარგმანში. ასევე თეორიულ დონეზე გაულრმავეებს საკითხის ცოდნას. მას უკვე ხელთ ექნება მთავარი მეთოდოლოგიური ბაზა, რომლის პრაქტიკულ დონეზე გამოყენებას შეძლებს.

## ძირითადი დასკვნები

ნაშრომში განხილული საკითხების კვალდაკვალ უნდა ითქვას, ჩვენი მიზანი რამდენიმე არსობრივი ნაბიჯისგან შედგებოდა: ვეცადეთ ლიუდმილა ულიცკაიას ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვა. ლიტერატურათმცოდნეების მოსაზრებების გათავისების შედეგად დავადგინეთ ლიუდმილა ულიცკაიას წერის სტილი, თუ რა მიმდინარეობას განეკუთვნება მისი შემოქმედება. ამის დასამტკიცებლად მივყევით და თანმიმდევრულად ვიმსჯელებთ მის თხზულებებში პოსტმოდერნისტული ტექსტებისთვის დამახასიათებელი ნიშნების აღმოჩენას. თვალშისაცემია ისიც, რომ მწერალი ე.წ. „პატარა ადამიანის“ თემას შლის და ახლებურად ამუშავებს. თარგმნილ ნოველებში („ღარიბი ნათესავი“, „გულია“, „ბრონკა“) თითოეული პერსონაჟის სახე ამ თვისებით ხასიათდება. თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ ფაქტორსაც, რომ ეს თემა ქართულ ლიტერატურაშიც აისახა, ცხადი გახდება, ლიუდმილა ულიცკაიას შემოქმედება პოსტმოდერნისტული სამყაროს გაცხოველებული ინტერესის გამო კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ის ზრდის და ამრავალფეროვნებს მსოფლიო ლიტერატურას, მისი ფართო გაგების გამო, ქართულ მწერლობაშიც მასაზრდოებელ ძალად შეიძლება იქცეს, რათა შემდგომ შეიქმნას მრავალმხრივ საინტერესო პერსონაჟები და სიუჟეტები.

შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა საფუძველზე ყალიბდებოდა ქართულ-რუსული ურთიერთობები. მეოცე საუკუნის საქართველოსა და რუსეთის მჭიდრო ურთერთობა პოლიტიკურმა განგებამ გადაწყვიტა. მით უმეტეს, რომ ეს პერიოდი ქართველობისთვის მძიმე იყო, ჩვენ აღვნიშნეთ,

რომ ამჯერადაც ხელოვნება ყოველივეზე მაღლა დადგა და მას ხელი ვერაფერმა შეუშალა - გაარღვია საზღვრები, წარმოაჩინა თავისი სიდიადე და ბრწყინვალეობა. ლიტერატურული ურთიერთობები შეგვახსენებს რაზე ყალიბდება თანამედროვე გინდ რუსული, გინდა ქართული ლიტერატურული პროცესები, აქვთ თუ არა შემდგომ პერიოდის მოღვაწეებს მათი გავლენა. აღმოჩნდა, რომ ნაწილობრივ საზრდოობს, რადგან წარსულის გარეშე მომავალი არ არსებობს. მოდერნიზმის „ნანგრევებზე“ წარმოიშვა პოსტმოდერნიზმი.

ჩვენ შემდგომ ამოცანას წარმოადგენდა პოსტმოდერნისტული ტექსტების სპეციფიკის კვლევა და მათი თარგმანის თავისებურებების გამოვლენა. მივედით დასკვნამდე, რომ აუცილებელი წინაპირობაა ინტერტექსტისა და ინტერტექსტუალური ელემენტების კვლევა-ძიება, ამოცნობა და ადეკვატურად თარგმნა. ჩვენ ნოველა „სონეჩკას“, „გულიას“ და „ბრონკას“ მაგალითზე შევაჯერეთ მსჯელობა.

თემის კვლევის საგნიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ სიღრმისეულად შეუსწავლელი საკითხის გაშიფვრა მოგვიწია, ეს არის - ეროვნული სოციოკულტურული სივრცის ინტერპრეტაცია მხატვრულ თარგმანში, რაც დღევანდელი მთარგმნელებისთვის ნამდვილ გამოწვევადაა ქცეული.

ამ მხრივ უნდა ვთქვათ, რომ მთარგმნელს ორი ამოცანის შესრულება უწევს: ერთი მხრივ, მან ავტორის კულტურული ნიშნული უნდა შეინარჩუნოს, მიმდებს უცხოკულტურული ნიშნულების აღმოჩენასა და აღქმაში დაეხმაროს. ამ შემთხვევაში მთარგმნელის როლი განისაზღვრება „ორკულტუროვნების“ სტატუსით. ტექსტის აღქმით ის არა მხოლოდ მისი შინაარსის გამომგზავნის კომუნიკაციურ ინტენციას გადმოსცემს, არამედ ამ ყოველივეს სხვა კულტურის მქონე ადამიანის გადმოსახედიდან უყურებს.

რა თქმა უნდა, ჩვენი თარგმანის სტრატეგია ითვალისწინებდა ზუსტი თარგმანის შესრულებას, ამიტომაც უთარგმნელობის პრობლემა ჩვენ წინაშე არ დამდგარა. გარდა ამისა, ეროვნული სოციოკულტურული სივრცის შესწავლამ კიდევ ერთხელ მიგვაბრუნა ტექსტს და განგვახილინა, თუ რამდენად ადეკვატურად იყო თარგმნილი ესა თუ ის მონაკვეთი. ვთვლით,

რომ ეროვნული სოციოკულტურული ელემენტების გადმოცემისას საჭიროა სქოლიოს სახით მიეთითოს მიმღებ ენაში თარგმნილი, დასახელებული სივრცობრივი ელემენტები, რათა მკითხველის ასაკობრივი კონტიგენტი არა მხოლოდ უფროს თაობას, არამედ უმცროს თაობასაც მოიცავდეს.

სწორედ ეროვნული სოციოკულტურული სივრცის შესწავლის შემდეგ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებად, ე.ი. ტროპის აზროვნების საშუალებებად შევარჩიეთ მეტაფორა და ირონია (მათი სიუხვიდან გამომდინარე), დავსახეთ მათი გადმოცემის გზა და მივსდიეთ კიდევაც. საქმე ისაა, რომ მეტაფორის შემთხვევაში ზუსტად გადმოგვკონდა სახეები, ირონიას რაც შეეხება, მხოლოდ სინტაქსურ-გრამატიკული წყობა შეიცვალა, ქართული ენის გრამატიკის ნორმების გამო.

მეცნიერული კვლევის შედეგად დადგინდა თარგმანის შესრულების ორი გზა: ფილოლოგიური და თარგმანმცოდნეობითი. ფილოლოგიური გულისხმობს: ავტორის, მისი სტილის, ტექსტის, ნაწარმოებში წარმოდგენილი ეპოქის, პერსონაჟების, სიუჟეტის შესწავლას. რაც შეეხება თარგმანმცოდნეობითს, ის ქმნის მეთოდოლოგიურ ბაზას, მასში შემავალი მექანიზმები კი ნებისმიერ მთარგმნელს დაუსახავს სწორ სტრადეგიას და მიდგომას, რათა შედეგად მიიღოს ადეკვატური ხარისხიანი თარგმანი. ეს მექანიზმებია: პჭკარედი თარგმანი; სინონიმური თარგმანი, რუსული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგანაც ხშირად ვხდებით გამეორებებს; მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, მხატვრული ხერხების ეკვივალენტური თარგმანი (ძირითადად მეტაფორა და ირონია გამოყვავით); ეროვნული სოციოკულტურული სივრცის გათავისება-გაანალიზების შედეგად შესაბამისი გადმოტანა, ხოლო მკითხველისთვის სქოლიოში მითითება.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ლიუდმილა ულიცკაიას პროზის შესწავლამ და თარგმნამ უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. ადამიანის ბედის კვლევამ საოცარ სამყაროში გვამოგზაურა, ეროვნულმა სოციოკულტურული სივრცის შესწავლამ და ინტერპრეტაციამ თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისთვის ტექსტის გადმოცემის ახლებური მეთოდები შეგვაქმნევინა. ვინაიდან მხატვრული თარგმანის პრობლემა დღევანდელ დღესაც

აქტუალური საკითხია, ამიტომაც ვთვლით, რომ ჩვენ მიერ გაკეთებულმა მხატვრულ-ლინგვისტურმა ანალიზმა, მთარგმნელობითმა მეთოდოლოგიურმა ბაზამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ნებისმიერი დარგის სპეციალისტისთვის და მთარგმნელისთვის.

**სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული  
პუბლიკაციები:**

1. ნონა ინჯგია, პოსტმოდერნისტული ტექსტების თარგმანის თავისებურება (ლიუდმილა ულიცკაიას მცირე პროზის მიხედვით), საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, №38, თბილისი 2019;
2. **Nona Injgia – Culturological aspect in literary translation (according to the short prose of Ludmila Ulitskaya)**, Association 1901 „SEPIKE“, Social Educational Project of Improving Knowledge in Economics, Inovation in the modern world, monograph SEPIKE, De., Fr., USA, 2019;
3. ნონა ინჯგია, რუსული მენტალობისთვის დამახასიათებელი კომპონენტების თარგმანის თავისებურებები (ლიუდმილა ულიცკაიას მცირე პროზის მიხედვით), თბილისის ღია უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №10, თბილისი, 2019.



**St. Andrew the First-Called Georgian University of the  
Patriarchate of Georgia**  
*School of Humanities and Law*  
Doctoral-Education Program Philology

*With the right of manuscript*

**Nona Injgia**

**Peculiarities of Interpretation of National Socio-  
Cultural Space in Artistic Translation (According  
to Ludmila Ulitskaya's Prose)**

Dissertation Abstract

Submitted for Doctoral degree in

0232.1.3. Philology

Tbilisi

2020

The dissertation thesis has been conducted at the School of Humanities and Law of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

**Scientific Supervisor:**

**Tatiana Cheishvili**, PhD in Philology.

**Opponents:**

**Irina kapanadze**, PhD in Philology,

**Rusudan Chanturishvili**, PhD in Philology

The dissertation will be defended at 16:00 pm, on 22 May 2020 at the dissertation commission session of the philology section of the dissertation board of the Faculty of humanities and Law of the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgian.

Due to the state of emergency, the defense of the dissertation thesis will be held online. Involvement in the process of public defense of the dissertation thesis is available via the following link:  
<https://zoom.us/j/8978585107>

The dissertation thesis is available at the Scientific Library of St. Andrew the First-called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

The dissertation abstract was distributed on 29 April 2020.

Scientific Secretary of the Philology section of the Dissertation Board:  
Doctor of Philology,  
**Nino Mamardashvili**

**GENERAL DESCRIPTION OF THE WORK FOR A  
DOCTOR'S DEGREE**

**THE RELEVANCE OF THE THESIS**



